



სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

MES7260000838591

02/07/2026

MES 7 26 0000838591

ბრძანება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული გადამზადების პროგრამის
„რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების
მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის
თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2026 წლის 29 ივნისის №816775 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის“ მე-2 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ: 402019917) პროფესიული გადამზადების პროგრამა „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი“ (დანართი). 2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა



დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02617	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	40	თბილისი, გლდა ნაძალადევი, თემ მე-11 მიკრორაიონი მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2026 წლის 29 მაისის

გამგზავნით N125



RTC სარკინიგზო
ტრანსპორტის
კოლეჯი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი

პროგრამის სახე:

☐ პროფესიული მომზადება

☒ პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:

☐ 2 ☐ 3 ☒ 4 ☐ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება, შესაბამის სარკინიგზო დარგში მინიმუმ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება.

პროგრამის მიზნები: პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს სფეროში არსებული კადრების გადამზადებას დროის მოკლე პერიოდში. შემდგომში უკვე, რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტს ეცოდინება, რკინიგზის ტრანსპორტზე სცბ-ს მოწყობილობებისთვის - სიგნალების და ისრების მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის სისტემის ფუნქციები/შესაძლებლობები და საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი კოგნიტური და პრაქტიკული უნარების გამოყენება სარკინიგზო ტრანსპორტის მართვისას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მიკროპროცესორული სისტემის შემადგენლობისა და გამოყენების ტექნიკური აღწერა;
2. სარკინიგზო ტრანსპორტის მართვისას მპც-ის მოწყობილობათა შესაძლო მტყუნებათა იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.
3. გეგმა-გრაფიკის მიხედვით სამუშაო დღის დაგეგმვის აღწერა;
4. სამუშაო აღჭურვილობისა და დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობის განსაზღვრა
5. სამუშაო აღჭურვილობისა და დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების პროცესის შეფასების განსაზღვრა
6. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობების მომსახურების სამუშაო პროცესის ორგანიზება
7. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის აღწერა;
8. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა მიმდინარე რემონტის ღონისძიებების განსაზღვრა;
9. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი.
10. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის აღწერა;
11. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა მიმდინარე რემონტის ღონისძიებების განსაზღვრა
12. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: “სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკა”
- მოდულები:

1. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში მიკროპროცესორული ტექნიკის გამოყენება;

2. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობების მომსახურების სამუშაო პროცესის ორგანიზება;
3. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი;
4. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი.

პროგრამის მოკლე სარკ

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	1. მპვ-ი სისტემის დანიშნულება, სისტემის დამატებითი ფუნქციები. 2. მპვ-ი სისტემის შემადგენლობა და სტრუქტურული სქემა. 3. ტელეკომუნიკაციის კარადა (ШТК). 4. • სცბ-ს ელექტრო მექანიკოსის (APM IIIH) ავტომატიზირებული სამუშაო ადგილიდან სისტემის დაშორებული ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი. 5. • სცბ-ს ელექტრო მექანიკოსის (APM IIIH), ავტომატიზირებული სამუშაო ადგილიდან სისტემაში შემავალი ობიექტების	1	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A;C

	დათვალიერების, ინფორმაციის დიაგნოსტიკებისა და შესრულებული მოქმედებების არქივირების წესი. 6. • მპც-ი სისტემის მტყუნებათა მოძებნის დიაგრამა; 7. • MAHC საგადასასვლელ სიგნალიზაციის ავტომატური მართვის სისტემის მტყუნებათა მოძებნის დიაგრამა; 8. • შიფრატორები და დეშიფრატორები, მათი გამოყენების წესი. 9. • გარანტირებული ელექტრო კვების სისტემა (СГП). 10. • შუქნიშნების მართვის (შესასვლელი, გასასვლელი, სამანევრო,)სქემები. 11. • ისრის მართვის სქემა. 12. • სარელსო წრედების კოდირების სქემა. ციმციმის კომპლექტი. 13. • ავტომატური სალიანდაგო გადასასვლელის მართვის სქემა. 14. • ლიანდაგის უბნების კონტროლის პრინციპის აღწერა, ღერძების თვლის მეთოდით (БССО - М).					
2	1. სარელსო ნ/აბ-თან დაკავშირების სქემა. 2. მპც-ი სისტემის კომპონენტების შეცვლის პროცედურა. 3. პროგრამული უზრუნველყოფის შეცვლის პროცედურა. 4. მიკროპროცესორული მოწყობილობების შეცვლის თანმიმდევრობა. 5. დაზიანებების შედეგების აღმოფხვრის თანმიმდევრობა;	2	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A;C
3	1. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და	3,4,5	20	ლექცია,	გამოკითხვა	A;C

	ბლოკირების სამუშაოთა გეგმა–გრაფიკის დანიშნულება; 2. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების ელექტრომექანიკოსისადმი წაყენებული შრომითი დისციპლინის მოთხოვნები; 3. სამუშაო დღის გეგმა–გრაფიკის მიხედვით დაგეგმვის თავისებურებანი; 4. სცბ-ს მექანიკოსის შესაძლო დავალებების სახეები; 5. მოქმედი ნორმატიული აქტები, რომელიც უნდა დაიცვას სცბ–ს ელექტრომექანიკოსმა; 6. სცბ-ს ელექტრომექანიკოსის დაქვემდებარებული თანამშრომლების საქმიანობაზე ზედამხედველობის წესები; 7. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების რიგგარეშე სამუშაოების სახეები და ჩატარების პროცესის ორგანიზება; 8. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სამუშაოს სახის მიხედვით ჩასატარებელი უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი; 9. თანამდებობრივი ინსტრუქციების მიხედვით მომსახურე პერსონალის (სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების უფროსი ელექტრომექანიკოსის, სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების ელექტრომექანიკოსის და მისდამი დაქვემდებარებული			პრაქტიკული მეცადინეობა		
--	--	--	--	------------------------	--	--

	პერსონალის) ანგარიშვალდებულებები; 10. სცბ-ს ელექტრომექანიკოსის სამუშაო აღჭურვილობისა და დოკუმენტაციის მიღება- ჩაბარების პროცესი; 11. ტექნიკურ დოკუმენტაციის წარმოების წესი და ვადები; 12. ტექნიკური დოკუმენტაციის შენახვის წესი მოქმედ მოწყობილობათა შესაბამისობის მიხედვით;					
4	1. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების შესასრულებელი სამუშაოების სახეების მიხედვით საჭირო აღჭურვილობა და მათი რაოდენობა; სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სამუშაო აღჭურვილობისა და დოკუმენტაციის მიღება- ჩაბარების პროცესი და ვადები. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სამუშაო აღჭურვილობისა და დოკუმენტაციის მოთხოვნის პერიოდულობა; 2. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების შესასრულებელი სამუშაოს სახის მიხედვით საჭირო მასალისა და ინვენტარის მოთხოვნის პროცედურა.	6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A;C
5	1. სარკინიგზო გადასასვლელების ავტომატური სიგნალიზაციის მოწყობილობები და ძირითადი ელემენტები; 2. რადიოტალღების გავრცელების წესის აღწერა;	7	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A;C

	3. საკაბელო მეურნეობაში ელ. გაზომვების წესის აღწერა; 4. საკაბელო ღარების და საკაბელო ტრასის მნიშვნელობის აღწერა. 5. ლიანდაგის უბნების კონტროლის მოქმედების და სარგებლობის წესის აღწერა, ღერძების თვლის მეთოდით (ΘCCO - M); 6. მოძრავი შემადგენლობის გავლის მაკონტროლებელი გადამწოდების, ღერძების თვლის სისტემების მუშაობის აღწერა;					
6	1. საგადასარბენო შუქნიშნის ნათურების ძირითადი კვების გადართვის აუცილებლობის განსაზღვრა მუდმივი დენის წყაროზე; 2. სატრანსფორმატორო ყუთის და შუქნიშნის ჰიქის შიგნითა ნაწილები; 3. სასიგნალო რელეს დაყოვნების დროის განსაზღვრა; 4. გადასარბენზე სარელსო წრედების ელემენტების მდგომარეობის აღწერა; 5. შუნტური მგრძნობელობის შემოწმების წესი; 6. შუქნიშნებისა და სარელსო კარადების სანაპერწკლო შუალედების წესივრობის განსაზღვრა; 7. სარკინიგზო გადასავლელებზე შლაგბაუმების, ელ.ამძრავების, ძრავების მდგომარეობის შემოწმების წესი შლაგბაუმების გალებისა და დაკეტვისას.	8	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A;C
7	1. საისრე გარნიტურების იზოლაციის საზომი ხელსაწყოთი შემოწმება.	9	20	ლექცია,	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A;C

	2. დროსელ ტრანსფორმატორების ტრანსფორმაციის კოეფიციენტის პირველადი და მეორადი გრაგნილების ელ. მახასიათებლებისა და იზოლაციის გასინჯვა; 3. სარელსო წრედების ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენება; 4. სარკინიგზო გადასავლელებზე შლაგბაუმების, ელ.ამძრავების, ძრავებისა და სხვა შემადგენელი მექანიზმების შემოწმება შლაგბაუმების გალებისა და დაკეტვისას. 5. შლაგბაუმების ძელების გარემონტება-შეცვლა; 6. შლაგბაუმის ელ.ამძრავის მონტაჟი; 7. მოძრავ შემადგენლობაზე ავტომატური სალოკომოტივო სიგნალიზაციის საიმედო მუშაობისათვის საკონტროლო პოსტებზე და სალოკომოტივო დეპოებში სასინჯი შლეიფების შემოწმება და რემონტი; გადასარბენებზე მაკოდირებელი მოწყობილობების და მათი შემადგენელი ნაწილების შემოწმება/რემონტი ელ. პარამეტრების გაზომვით; .			პრაქტიკული მეცადინეობა		
8	1. შუქნიშნის ლინზური კომპლექტების (ნათურების დამჭერების, მონტაჟის კონტაქტების, სამაგრების, ლინზებისა და მინების) შემოწმება; 2. საკაბელო ტრასის გეგმა ,მისი წაკითხვა და მასზე ნაჩვენები	9	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A;C

	მაერთებელი და გამანაწილებელი ქუროების ადგილმდებარეობა მათი ნიშნულების მიხედვით; 3. ქუროებზე ჩასატარებელი სამუშაოების წესი და რიგი. მომქმედი და გარემონტებული კაბელის მარღვების იზოლაციის გაზომვა მიწასთან და სხვა მარღვებთან შეფარდებით; 4. სარელო კარადებში და შუქნიშნებში შემავალი კაბელების იზოლაციის მდგომარეობის შემოწმება და რემონტი					
9	1. ბლოკური სარელო ცენტრალიზაციის მოქმედების პრინციპის აღწერა; 2. მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის მოწყობის პრინციპების აღწერა; 3. მპც-ი ტექნიკური მომსახურების უსაფრთხო პროცედურების ზომები; 4. მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის საელემენტო ბაზა; 5. სადგურის მორიგის ავტომატიზებული სამუშაო ადგილი. 6. APM ДСП-ს სარგებლობის წესების აღწერა; 7. სცბ-ს ელმექანოსის ავტომატიზირებული სამუშაო APM IIIH- ს ადგილის სარგებლობის წესები. 8. სამატარებლო რადიოკავშირის აღწერა;	10	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A;C

	9. სასადგურო რადიოკავშირის აღწერა. 10. რადიომიმღები მოწყობილობების მოქმედების აღწერა; 11. რადიოგადამცემი მოწყობილობების მოქმედების აღწერა					
10	1. სალიანდაგო რელეს მუშაობის ტესტური გასინჯვის სქემის მოქმედების წესივრობის განსაზღვრის წესის აღწერა; 2. სქემატური,ორმაფიანი გეგმის,პრინციპიალური ელექტრული და მონტაჟური სქემების შემოწმების წესის აღწერა; 3. საკაბელო გეგმების შემოწმების წესი; 4. შუქნიშნის ხილვადობის შემოწმების წესი; 5. ელექტროამძრავისა და საისრე გარნიტურის მდგომარეობის შემოწმების წესი; 6. საკაბელო ქუროს შიდა დათვალიერების თანმიმდევრობის წესის განსაზღვრა; 7. სასიგნალო რელეების დაყოვნების დროის გაზომვის თანმიმდევრობის აღწერა;	11	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A;C
11	1. საისრე ამძრავის გარნიტურის გარეგანი წესივრულობა და დამაგრების საიმედოობა; 2. საისრე ამძრავის კვანძებზე ღრეჩობის და ფოლხვების არსებობის შემოწმება და უწესივრობის შემთხვევაში მათი აღმოფხვრა; 3. ელ.ძრავას წესივრობის შემოწმება მისი საზომი ხელსაწყოთი (ომმეტრი) და	12	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	

	გრაგნილის კორპუსთან იზოლაციის წინააღმდეგობის გაზომვა; 4. მარევერსირებელი რელესა და გამმართველის მუშაობის უნარიანობის შემოწმება გაზომილი ძაბვის მიხედვით; 5. ელ. ძრავაზე ძაბვის გაზომვა და რეგულირება ფრიქციაზე მუშაობისას; 6. ტაბლოზე გატეხილი, იზოლაცია დაკარგული და სხვა დაზიანების მქონე დილაკების გარემონტება და შეცვლა; 7. სცბ-ს საველე და საპოსტო მოწყობილობების დამცავი ჩამიწების სიდიდეების გაზომვა სპეციალური ხელსაწყოთი;					
12	1. საკაბელო ტრასის გეგმის წაკითხვა და მასზე ნაჩვენები მართებული და მანაწილებელი ქუროების ადგილმდებარეობა მათი ნიშნულების მიხედვით; 2. ქუროებზე ჩასატარებელი სამუშაოების წესი და რიგი; 3. მოქმედი და გარემონტებული 4. კაბელის ძარღვების იზოლაციის გაზომვა მიწასთან და სხვა ძარღვებთან შეფარდებით.	12	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა “სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკა”	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში მიკროპროცესორული ტექნიკის გამოყენება - 10.12.1.2	1. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მიკროპროცესორული სისტემის შემადგენლობისა და გამოყენების ტექნიკური აღწერა; 2. სარკინიგზო ტრანსპორტის მართვისას მპვ-ის მოწყობილობათა შესაძლო მტყუნებათა იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.
რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობების მომსახურების სამუშაო პროცესის ორგანიზება - 10.12.1.1	1. გეგმა-გრაფიკის მიხედვით სამუშაო დღის დაგეგმვის აღწერა; 2. სამუშაო აღჭურვილობისა და დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობის განსაზღვრა 3. სამუშაო აღჭურვილობისა და დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების პროცესის შეფასების განსაზღვრა 4. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობების მომსახურების სამუშაო პროცესის ორგანიზება
სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი - 10.12.1.3	1. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის აღწერა; 2. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა მიმდინარე რემონტის ღონისძიებების განსაზღვრა; 3. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი.
სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი - 10.12.1.4	1. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის აღწერა; 2. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა მიმდინარე რემონტის ღონისძიებების განსაზღვრა 3. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი